სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

ENERGO-PRO

დანართი 2

**დადგენილება #ეპ. 0463-20**
**გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის**
**დადების შესახებ**

თბილისი 22 ოქტომბერი 2020

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას" სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების იურისტი - ნინელი ბოჭორიშვილი

2. საქმის განხილვის თარიღი: 2020 წლის 22 ოქტომბერი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

შპს „კარამელი"

მდებარე: იურიდიული მისამართი -- ქ.ბათუმი, გორგასლის ქუჩა #136-138, კომერციული ფართი #1

საიდენტიფიკაციო კოდი #445420161

ფაქტობრივი ადგილსამყოფელი:

..........................................................................................................................................................

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

მიმდინარე წლის 24 აგვისტოს გადამოწმდა ქ. ბათუმში, გორგასლის ქუჩა #136-138-ში მდებარე #1 კომერციულ ფართში არსებული აბონენტის #6010625152 აღრიცხვის კვანძი. აღმოჩნდა, რომ მრიცხველის კორპუსის უკანა მხარეს იყო ნახვრეტი, საიდანაც სავარაუდოდ ხდებოდა მრიცხველის მთვლელ მექანიზმზე ხელოვნური ჩარევა ელ. ენერგიის დატაცების მიზნით. ადგილი ჰქონდა ელ.ენერგიის დატაცებას. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის #008/89 ოქმს ხელი მოაწერა შპს „კარამელი"-ს წარმომადგენელმა, დირექტორმა ნონა დიასამიძემ (პ/ნ 61004019690), რომელმაც აღნიშნა, რომ მრიცხველი შეიძინა კერძო პირისაგან, ხოლო დამონტაჟებული იქნა კომპეტენტური სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ, ითხოვა დაკვირვება განხორციელებულიყო ახალდამონტაჟებული მრიცხველის ჩვენებებზე, განმარტა, რომ მისთვის ოქმში მითითებული ფაქტის შესახებ ცნობილი არ იყო. საქმეში წარმოდგენილია 24.08.2020წ შედგენილი აღრიცხვის კვანძის

შემოწმება-მიღების აქტი #672035, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ აბონენტის მრიცხველის უკანა მარცხენა მხარეს, მთვლელი მექანიზმის უკან არის გახვრეტილი, მრიცხველის ლუქი დარღვეული არ არის, მრიცხველში ხდებოდა ხელოვნური ჩარევა, მთვლელი მექანიზმის მონაცემების გაყალბების მიზნით. დაზიანებული მრიცხველი მოიხსნა, ჩაიდო პოლიეთილენის პარკში და დაილუქა #2880780 ლუქით, ხოლო აბონენტს დაუმონტაჟადა ახალი მრიცხველი. მოხსნილი მრიცხველი გადაიგზავნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტიზისათვის და ჩატარებული ტრასოლოგიური ექსპერტიზის #005718820 დასკვნის თანახმად, გამოსაკვლევად წარდგენილ НІК 2301 АП3 ტიპის #0684215 ელექტრო დენის მრიცხველის კორპუსის ძირის მთლიანობა გარეშე მექანიკური ზემოქმედების შედეგად დარღვეულია და ქვედა მხრიდან გააჩნია მომრგვალო ფორმის გამჭოლი ჩანახვრეტი, თერმული ზემოქმედებისათვის დამახასიათებელი, დნობის ნიშნების მქონე კიდეებით, რომლის გასწვრივაც, მთვლელი მექანიზმის სიღრმეში ერთ-ერთ გორგოლაჭზე შეინიშნება-შეღწევისათვის დამახასიათებელი, გარეშე საგნის მექანიკური ზემოქმედების კვალი. თუმცა მთვლელი მექანიზმის დამცავი ხუფის და მასზე არსებული პლასტმასისმაგვარი მასალის ლუქისა და ტყვიისმაგვარი მასალის ბჯენების, ასევე მათი სალუქავი მავთულების მთლიანობა, დარღვეული არ არის, ხოლო დამცავი ხუფის სამაგრ ჭანჭიკებზე, მხოლოდ დაყენების-დაჭერის კვლებია. დასკვნის თანახმად, ადგილი ჰქონდა აბონენტის მიერ ელ.ენერგიის დატაცებას. შპს „კარამელი"-ს მიერ ელექტროენერგიის დატაცება წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2020 წლის 26 აგვისტოს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. შპს „კარამელი"-ს წარმომადგენელს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე. თუმცა სხდომაზე შპს „კარამელი"-ს წარმომადგენელი არ გამოცხადდა. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ სხდომის გადადების თაობაზე სამართალდამრღვევს არანაირი განცხადებით არ მოუმართავს. ამდენად, კომისია უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი; შსს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; შეტყობინება; ექსპერტიზის დასკვნა.), რომელთა მეშვეობითაც დგინდება შპს „კარამელი"-ს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $96^1$ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ელექტროენერგიის დატაცება. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ასკ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველმა კომისიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $96^1$ მუხლის პირველი ნაწილით; მე-10; 38-ე; 236-ე; 240-ე; $228^2$-ე მუხლებით; 266-ე მუხლის მე-4 ნაწილით; სემეკის 12.08.10 #14 და

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"
18.09.08 #20 დადგენილებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას" გენერალური დირექტორის 17.09.10 RU #2010009 წესით, 26.06.19 or #2019034 ბრძანებით და

## დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

**6. შპს „კარამელი" (ს/კ 445420161)** ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ა.ს.კ. 96[1] მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილების სახით.

---

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას 15000 ლარის ოდენობით.

---

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან/საჯაროდ გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: თბილისი, მიცკევიჩის ქ.#19).

---

9. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებული მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

კომისიის თავმჯდომარე:
ნინელი ბოჭორიშვილი

---